Cour Pénale Internationale
International Criminal Court

Le Bureau du Procureur
The Office of the Prosecutor

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის საჯარო განცხადება

საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს შეუძლიათ, 30 დღის ვადაში მიმართონ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ჰაგაში და წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები გამოძიების დაწყების საკითხთან დაკავშირებით.

ჰააგა, 2015 წლის 13 ოქტომბერი

წინამდებარე შეტყობინებით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი, ფატუ ბენსუდა აცნობებს საქართველოში 2008 წლის 7 აგვისტოდან 10 ოქტომბრამდე პერიოდში ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს, რომ მან შუამდგომლობით მიმართა პირველ წინასასამართლო პალატას, რომ გამოძიება დაიწყოს აღნიშნული დანაშაულების ჩადენის ფაქტებზე, რომის სტატუტის მე-15(3) მუხლისა და საპროცესო რეგლამენტის („სამართალწარმოების და მტკიცებულების მარეგულირებელი წესები“) 50-ე მუხლის შესაბამისად.

პროკურორი მიიჩნევს, რომ: „გონივრული საფუძველი არსებობს საქართველოს სიტუაციასთან მიმართებით, კერძოდ კი – 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების ფაქტებზე, გამოძიების წარმოებისთვის“.

რომის სტატუტის მე-15(3) მუხლის შესაბამისად, „დაზარალებულებს შეუძლიათ წინასასამართლო პალატას მიმართონ საპროცესო რეგლამენტით დადგენილი წესის შესაბამისად“.

შესაბამისად, პროკურორი აცნობებს საქართველოში 2008 წლის 7 აგვისტოდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე სავარაუდოდ ჩადენილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შედეგად დაზარალებულ პირებს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა, პირველი წინასასამართლო პალატის მოსამართლეებს

წარუდგინონ თავიანთი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა გამოძიების დაწყება აღნიშნული დანაშაულების ფაქტებზე.

საქართველოს სიტუაციასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის მოკლე შინაარსი შეგიძლიათ იხილოთ სასამართლოს ვებ-გვერდზე (http://www.icc-cpi.int/en_menus/icc/structure%20of%20the%20court/office%20of%20the%20prosecutor/comm%20and%20ref/pe-ongoing/georgia/Pages/otp-sum-req-13-10-2015.aspx) ინგლისურად, ქართულად და რუსულად.

დაზარალებულებმა ან მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა დღევანდელი შეტყობინებიდან 30 დღის ვადაში უნდა წარუდგინონ თავიანთი მიმართვა წინასასამართლო პალატას. აღნიშნული მიმართვა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით, დაზარალებულთა დაცვისა და რეაბილიტაციის განყოფილების გავლით, ქვემოთ მოცემულ საფოსტო მისამართზე:

International Criminal Court
Victims Participation and Reparations Section
Situation in Georgia
PO Box 19519
2500 CM, The Hague
The Netherlands

დაზარალებულებს აგრეთვე შეუძლიათ სასამართლოსთვის მიმართვა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: VPRS.Applications@icc-cpi.int.

წინასასამართლო პალატამ შესაძლოა დაზარალებულებს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარდგენა და საჭიროების შემთხვევაში გამართოს ზეპირი მოსმენაც კი.

პროკურორის შუამდგომლობის თაობაზე გადაწყვეტილება პალატის მიერ ეცნობება დაზარალებულებს.

იმ შემთხვევაში თუ მოსამართლეები გასცემენ სანქციას პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების თაობაზე, დაზარალებულებს მიეცემათ შესაძლებლობა, თავიანთი მოსაზრებები და საჩივრები წარმოადგინონ სამართალწარმოების პროცესში, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი – მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება (რეპარაცია).

წინამდებარე შეტყობინება დღეიდან განთავსებულია სასამართლოს ვებ-გვერდზე. იგი აგრეთვე გაეგზავნა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მასმედიის საშუალებებს, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების

წარმომადგენლებსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციას. ინფორმირებულია ასევე სასამართლოს სამდივნო.